




- შუაჩინაბიან გოლიათები
- არ ლალატობენ ტრადიციას
- ცა იქნება მზიანი, უღრუბლო...



სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის

დღის ალსანოხნავად


## შეაღზე და შეაღვეთ...

სოხუმში სამ დღეს გრძელდებოდა აფხაზეთის პირველი საზღვაო სპორტული კონკრეტი, რომელიც მიემდგვნა საზღვაო სპორტის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს. დღი ინტერესი გამოიწვია ფარულად ტურნამ ვაჟებისათვის 800 მ. ქალებისათვის 400 მეტრზე. ქალებმა შორის იოლი გამარჯვება მოიპოვა ქალქის საზღვაო კლუბის წევრმა ვ. მახროვამ, რომელმაც აღნიშნულ მანძილზე აჩვენა 5.27,5 და 1.125 ქულა დაიმსახურა. მეორე დღეზე გამოვიდა სოხუმის წევრების წევრი ნ. ხუციშვილი. ვაჟთა შორის მანძილს 10.30 წუთში გააღვირავა სპორტსმენს იძლეოდა 1.000 ქულა, მაგრამ პირველი ღისას საუკეთესო — გასული ღისის ჩემპიონი ა. სანგულია მიიპოვა ვერ მიწვდა. მისი შედეგი მხოლოდ 10.36,4 იყო: სამაგიეროდ, მეორე დღეზე სოხუმელი ი. ივნიშვილი (საზღვაო კლუბი) აჩვენა 10.16,2 და 1.028 ქულა მოიპოვა. მემდგომში ვერავენ შეძლო ამ მანძილის გაუმჯობესება. ერთადერთი, ვინც ლიდერს მიუახლოვდა, სპორტის ოსტატა ე. კობეცკო იყო — 10.18,8 (1.022 ქულა). შეჯიბრების მეორე დღის პროგრამაში იყო ორი ვარჯიში. წყალში აქვალანგით სპორტსმენებს მომასსო გამოყენებით უნდა გაეკლათ 500 მეტრი. ფინიშიდან ყოველი ერთი მეტრის გადახრისათვის მონაწილენი ჯარიმდებოდნენ 10 ქულით, ხოლო საკონტროლო ბოლოს გადახრებისათვის — დისციპლინის ინსპექტორი. ამ ვარჯიშში ყველაზე ზუსტად გამოვიდა ვ. ქანტურია (საზღვაო კლუბი). მან ვარჯიშის შესასრულებლად დახარჯა 15.25 წუთი და

ფინიშიდან მხოლოდ 1 მეტრის დაშორებით დაამთავრა ბრძოლა. უკეთესი დრო — 12.11,8 — ჰქონდა პ. სარქიანს, მაგრამ იგი საგარძობლად (18 მეტრით) დაცილდა საკონტროლო ფინიშს და იძულებული გახდა 11 ადგილით დაემყოფილებულიყო. მომდევნო ვარჯიშში, აქვალანგით წყალში 500 მეტრზე ტურნაში — უძლიერესი აღმოჩნდა ო. მომინტი (სოხუმი). იგი მხოლოდ 2 მეტრით დაცილდა საფინიშო ცენტრალურ წერტილს, ორი დღის შემდეგ შეჯიბრების ლიდერი გახდა ვ. ქანტურია. ყველაფერი გადაწყვიტა ტურნის მეხამე დღემ. აჩვენა სპორტსმენები ძალებს ცდიდნენ ყვინთით სწრაფ ტურნაში. ვაჟებისათვის ტრასის სიგრძე 40 მეტრს უდრიდა, ქალებისათვის — 25-ს. ამასთან, დაწესებული იყო საკონტროლო დრო — 21,5 და 15 წამი შესაბამისად. ყოველი გადახრებულნი 0,1 წამისთვის მონაწილენი ჯარიმდებოდნენ 5 ქულით. კვლავ ისახელა თავი ვ. მახროვამ და მოიპოვა კიდევაც აფხაზეთის ჩემპიონობა ქალთა შორის. რაც შეეხება ვაჟებს, საუკეთესო იყო ე. კობეცკო, მაგრამ კომპლექსში ვ. ქანტურია მანვე შეძლო უპირატესობის შენარჩუნება და ჩემპიონობის დასაკუთრება. გუნდურ ნათვლაში I ადგილი მოიპოვა საზღვაო კლუბის კოლექტივმა. შეჯიბრების პროცესში 8 მონაწილემ შეასრულა I თანრიგის ნორმატივი.

**ს. გლაზოვი,**  
აფხაზეთის დოსაფის რესპუბლიკური კომიტეტის უფროსი ინსტრუქტორი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!



საპარტიველო სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საპარტიველო რესპუბლიკური საზოგადოებას ორგანო  
Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის 80-20 წელი

№ 146 (2509)

კვირა, 26 ივლისი, 1964 წ.

ფასი 8 კაპ.

### სსრ კავშირის პირველობა შეხვურთში

## მსოფლოდ ერთი ბურთი

**თბილისი. „დინამო“ სტადიონი. 25 ივლისი.**  
„დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 1:0 (1:0).  
„დინამო“: კობეცკე, ბ. სიჭინავა, პეტრიაშვილი, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, მეტრეველი, ბარქაია, აფშევი, დათუნაშვილი.  
„ტორპედო“: ურუშაძე, ლოსაბერიძე, ნიშნიანიძე, ოდიკაძე, კუტიკაძე, სიამაშვილი, ავალიანი, ჩხარტიშვილი, ხუაღია, სარჯველაძე, ხერხაძე.  
მსაჯი ნ. ხლოპოტინი (მოსკოვი).

თბილისელთა პირველი ძლიერი იერიშების შემდეგ ტორპედოელებმა გაათანაბრეს თამაში და მე-14 წუთზე მიიღეს საჯარბო დარტყმის უფლება. ხერხაძემ მეტოქეთა კედელში მოძებნა დერეფანი და უძლიერესი დარტყმით ბურთი კარის კუთხეში გაგზავნა. მხოლოდ ცენტრალური საუცხოო ნახტომმა იხსნა „დინამო“ ამკარა გოლისაგან.  
მე-17 წუთზე მეტრეველმა მიიღო გადაცემა მინდვრის სიღრმიდან, სწრაფად დაამუშავა ბურთი და ზუსტად გაგზავნა იგი ურუშაძის კარში, რომელიც ამ მომენტში წინ იყო გამოსული — 1:0. 31-ე წუთზე კუტიკაძემ მარჯვენა ფლანგში დაარტყმით დაამუშავა ბურთი და ჩხარტიშვილის მიერ თავით ძლიერად დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა. ქუთაისელთა კარში გოლის გატანის ორი ნაღდი მომენტი ვერ გამოიყენეს დინამოელებმა აფშევმა და დათუნაშვილმა.

მეორე ტიშიში თამაში დაკარგა სიმწვევე. სტუმრებმა რამდენიმე სახიფათო შეტევა განაეითარეს, მაგრამ მათი თავდასხმელები დიდხანს უნდებოდნენ ბურთის დამუშავებას.

შეეხება, გარდა ამისა — კარგად ითამაშა „დინამოს“ დაცვამ (ცხოვრებოვი, ზეინკლიშვილი და სხვ.). მეტრეველის მიერ გატანილი გოლი ერთადერთი აღმოჩნდა ამ მატჩში — 1:0.


### „სპორტა“

### გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი  
მდგომარეობა 26 ივლისისათვის

ტ	მ	ფ	წ	ბ	ქ	
16	9	4	3	23-7=	+ 16	22
16	9	4	3	21-12=	+ 9	22
15	8	5	2	28-11=	+ 17	21
16	9	2	5	25-13=	+ 12	20
15	7	5	3	22-12=	+ 10	19
16	6	7	3	21-13=	+ 8	19
16	6	7	3	22-16=	+ 6	19
15	4	8	3	8-7=	+ 1	16
17	4	7	6	10-21=	- 11	15
14	4	5	5	13-11=	+ 2	13
16	4	5	7	11-17=	- 6	13
16	3	7	6	6-16=	- 10	13
16	5	3	8	9-20=	- 11	13
16	3	6	7	13-18=	- 5	12
15	4	2	9	8-17=	- 9	10
14	3	3	8	11-27=	- 16	9
15	2	4	9	11-24=	- 13	8

„ტორპედო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (მოსკოვი) 0:0.  
სკა (როსტოვი) — „დინამო“ (კიევი) 2:2.  
„შინიკი“ — „კაირატი“ 1:0.  
„ნეფტეანიკი“ — „შახტიორი“ — 3:1.  
„ზენიტი“ — „დინამო“ (მინსკი) 1:1.  
„ვოლგა“ — „სპარტაკი“ 1:4 (მეორე წრის მატჩი).



საიალქო სპორტი ერთ-ერთი რთული და საინტერესო სახეობაა. მის მოყვარულს ფიზიკური ძალის გარდა უნდა ჰქონდეს მახვილი გონება, წარაუი ორიენტირების უნარი, რადგან არ იცი თავს საიდან იჩენს ზღვის მიუზღველ, საიდან დაუბერავს ქარი. ყოფილა შემთხვევა, როცა ქარს სპორტსმენთათვის ხელიდან მოუტაცინა საქე. ეს კი ნავის გადაბრუნებასა და წულის უსიამოვნო, გაუთვალისწინებელ პროცედურას ნიშნავს. ამ წარმატებულ სახეობას ბევრი მიმდევარი ჰყავს უფროს ქალაქში.

სურათზე. იალქნაინი ნავით თბილისის ზღვაზე.  
ფოტო მ. ზარგარიანისა.

### წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ:

**მხატვრულ ტანვარჯიშში** — ვ. ნათაძე (თბილისი); აკრობატიაში — გ. მარგარევილი (თბილისი); სასტენდო სროლაში — ბ. გამანოვი (ბათუმი); კიდაობაში — ი. ტულუშ (ბათუმი); მძლეოსნობაში — ვ. პოზნარს (თბილისი); ო. ხაზიზოვის (რუსთავი); კალათბურთში — გ. ტონიას (ბათუმი); რ. ხითარაშვილის (ქუთაისი); ბ. ნიკიტაძის (თბილისი); კრივში — ვ. ცხომარია (სოხუმი); შ. ხუციანის (ბათუმი); ლ. თავაძის (ფოთი); ქაღარაკში — ა. დავლიანიძის (თბილისი); ა. არონიშვილის, რ. კაკიაშვილის (ორივენი — სოხუმიდან); სახანძრო-გამოყენებით სპორტში — ნ. კუნჭულიას, პ. ავაქიანს, ნ. ოსიძეს (სამივენი — ბათუმიდან); ა. ავაშიზოვის, ა. როჭიკაშვილის, ვ. მამისაშვილის, ფ. კრავჩენკის (ოთხივენი — თბილისიდან).

### სურსათის სია

◆ ბუქარესტი, 25 ივლისი. გალვას თასის გათამაშებაში საბჭოთა ჩოგბურთელებმა ბულგარელებთან მატჩი „მშრალი“ ანგარიშით დაამთავრეს — 5:0. დღეს ერთდროს დარჩენილ ორ შეხვედრაში ვ. კოროტკოვმა (მოსკოვი) მოუგო იასნაკოვს (9:7, 6:2), ხოლო პ. ლამპა (რივა) — პამპოლოვს (6:4, 7:5). ფინალში ჩვენს ქაზებურთელებს შეხვედრა უწევთ რუმინეთის ძლიერ გუნდთან, რომელმაც თავის მხრივ გამარჯვება საბერძნეთის ნაკრებთან მატჩში — 4:1.

◆ კისლოვოდსკი, 25 ივლისი. XI ტურით დამთავრდა სსრ კავშირის ცენტრალური საქადრაკო კლუბის საერთაშორისო ტურნირი. ტაღმა მოუგო ფუქსს და 7,5 ქულით I ადგილი გაინაღდა. მეორე ადგილი წილადა ხვდა შტინის (7 ქულა), მესამე — ავერბახს (6).


◆ ბუენოს-აირესი, 25 ივლისი. საერთაშორისო საქადრაკო ტურნირის XI ტურში ბირნმა მოუგო ოლივეროს, ვინიკმა — გარნიას. პეტროსიან — როსეტოს, ელისკაზეს — ფოველმანის და გიშარ — ბოლბოჩანის შეხვედრები ყინვით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო. 11 ტურის შემდეგ წინაა ამერეკელი რ. ბირნი — 8,5 ქულა. მსოფლიო ჩემპიონი — ტ. პეტროსიანი ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება. პ. კერესს 8 ქულა აქვს.

◆ არაპოლი, 25 ივლისი. სტუდენტთა საქადრაკო ოლიმპიადის ფინალურ ტურნირში სსრ კავშირის გუნდმა დაამარცხა ჩეხოსლოვაკია — 2,5:1,5, უნგრეთმა — გდრ 3,5:0,5. პოლონეთი — აშშ-ის მატჩი დამთავრდა ყინვით — 2:2. ჩემპიონატს ლიდერობს უნგრეთის ნაკრები (7 ქულა). საბჭოთა მოჭადრაკეებს 5,5 ქულა აქვთ.

◆ ბუდაპეშტი, 25 ივლისი. დამთავრდა გამოჩენილი უნგრელი მოჭადრაკისა და უფროსი საჭადრაკო მ. ასტალიშის სსრ ფინალში მიმდინილი საერთაშორისო საქადრაკო ტურნირი. I—II ადგილები გაიყვეს საბჭოთა ოსტატმა ა. ვისლინსმა და ბულგარელმა დიდოსტატმა მ. ბობოცევმა (10,5 ქულა თვითუღოს). წარუმატებლად ითამაშა საბჭოთა დიდოსტატმა რ. ხლოპოვმა (8,5 ქულა), რომელმაც V—VIII ადგილები გაიყო.

◆ ხაბაროვსკი, 25 ივლისი. დაიწყო სსრ კავშირის პირადი პირველობა კრივში, რომელიც ამავე დროს ოლიმპიური თამაშების შესარჩევი ტურნირია. პირველ დღეს წარმატებით გამოვიდნენ ლაგუტინი, პოზნიაკი და სტეპაშკინი, რომლებმაც შესაბამისად მოუგეს ბუდმანს, რაზუმოვსა და პაპანდოპულს. აღსანიშნავია, რომ სტეპაშკინმა ბრძოლა ნოკაუტით დაამთავრა.





ბათუმის „სპარტაკის“ საცურაო აუზში დამთავრდა ამ საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პირველობა ქაბუჯ წყალბურთელთა შორის. გამარჯვება ახტარხანის კოლექტივმა. მომდევნო ადგილები დაიკავეს ვოლგოგრადელმა და ლენინგრადელმა წყალბურთელებმა.

სურათზე: ახტარხანისა და ლენინგრადის გუნდების შეხვედრის ერთი მომენტი.  
ფოტო ა. ტულუშისა.

# გოსჯავლეები გამარჯვებულნი გრუნდებნიან

ტალინი, 25 ივლისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ აქ დამთავრდა მოსწავლეთა მე-3 საკავშირო ზონალური სპარტაკიადი. უკანასკნელი დღის ბრძოლები უაღრესი დაძაბულობით აღინიშნა.

ტალინიდან 90 კილომეტრის დაშორებით, იარკავანდის საცურაო აუზში სუთი დღის განმავლობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ნორჩ წყალბურთელთა გუნდები. ჩემპიონობის ბედი უნდა გადაეწყვიტათ ლენინგრადისა და საქართველოს წყალბურთელთა მატჩს. ამ შეხვედრაშივე მეტოქენი დაუმარცხებლად მოვიდნენ. ერთნაირი იყო გატანილი და მიღებული ბურთების სხვაობაც. ამიტომ მსაჯთა მთავარი კოლეგია იძულებული გახდა წყალბურთელთა ტურნირის დებულებაში ცვლილება შეეტანა, რომლის საფუძველზე:

როცა მეტოქეთა შეხვედრა ფრედ (2:2) დამთავრდა, დაინიშნა დამატებითი ორი ტაიმი (3 წუთი თითოეული). ანგარიში არ შეცვლილა. ამის შემდეგ ორივე გუნდის კარში 5-5 ოთხმეტრიანი საჭარბო ტყორცენს. ლენინგრადელთა მეკარემ ერთიანი შ ბურთი აიღო, მისმა თბილისელმა კოლეგამ ნიჟარაძემ კი საკუთარ კარში ოთხი ბურთი გაუშვა. უპირატესობა ლენინგრადელებს მიენიჭათ და ჩემპიონობაც მათ მოიპოვეს. ჩვენი გუნდი მეორე ადგილზე გავიდა.

ტანვარჯიშთა ასპარეზობა გოგონებმა დაასრულეს. ნებისმიერ ვარჯიშში ჩვენი გუნდი კარგად გამოვიდა და საერთო პირველი ადგილი დაიკავა. ქაბუჯთა გუნდი მეორე ადგილით დაეკმაყოფილდა.


არ გაუმართლათ ჩვენს მსროლელებს. ისინი უკანასკნელ დღემდე ლიდერთა რიგებში იმყოფებოდნენ, მაგრამ მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში ბელორუსიის წარმომადგენლებმა მოლოდინს გადააპარბეს და საბოლოოდ ჩვენი გუნდი მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა. თუმცა გუნდს ერთგვარი რვაბოლიტაცია ტატიანა კობოსნიძემ (275 ქულა) გაუკეთა. პისტოლეტიდან სროლაში მან უახლოესი მეტოქე — ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ლ. ვიშნევსკი (ქაბუჯი) 14 ქულით უკან ჩამოიტოვა. ეს ქულითაველი გოგონას დიდი წარმატებაა.

... და აი, რვადღიანი ასპარეზობის შემდეგ სატურნირო ცხრილში ყველა გრაფა შეივსო. ჩვენი რესპუბლიკის ნორჩი სპორტსმენებმა 10 პირველი (ქაბუჯებმა ხელბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, ჩოგბურთში, მაგიდის ჩოგბურთში,

ფეხბურთში; გოგონებმა — ტანვარჯიშში, ჩოგბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში; ჩვენმა გუნდმა გამარჯვება დაიკავა (7 მეორე ქაბუჯებმა: ტანვარჯიშში, ნიჩბოსნობაში, წყალში ხტომაში, წყალბურთში; გოგონებმა: ფრენბურთში, ცურვაში, წყალში ხტომაში), 3 მესამე (ქაბუჯებმა: ცურვაში, გოგონებმა: ხელბურთსა და ნიჩბოსნობაში) ადგილი დაიკავეს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში 61 ქულით პირველობა საქართველოს სპორტულმა დედეგაციამ მოიპოვა. მეორე ადგილზე ლენინგრადის კოლექტივი — 62 ქულა. მესამე ადგილი წილად ხვდათ ბელორუსიის სპორტსმენებს — 76 ქულა. შემდეგ მოდიან ესტონეთის — 95 ქულა და ლატვიის — 96 ქულა — გუნდები. სპარტაკიადის საზეიმო დახურვის დროს ნორჩ სპორტსმენებს მიესალმა საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ესტონეთის სსრ განათლების მინისტრი პრიოფ. ფ. ეიზენი. სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს გარდამავალი თანხმ მესამეჯერ გადაეცა ჩვენი რესპუბლიკის ნორჩ სპორტსმენთა კოლექტივს.

## ნ. ვოფსხაძე



კიევში დამთავრებულ სსრ კავშირის პირველობაზე ძალოსნობაში პირველად გახდა ჩემპიონი ვ. გოლოვანოვი (ქვემო-მე წონა). მან სამჭიდში დაამყარა ჩვენი ქვეყნის ახალი რეკორდი.

სურათზე: ვ. გოლოვანოვი და ა. სელიუჩენკო. (საქელსი).

## ქაბუჯში კამარაგენ რეკორდს!

მოსკოვი, 24 ივლისი (ტელეფონით). დედაქალაქის „ტრუდის“ VII სპარტაკო სპორტულ საარბაზო-საბავშვო კონსპორტბავშვო გამარჯვებულნი მოსკოვის ბავშვ მოცურავეთა ნაკრები გუნდის წევრები — სპარტაკიადის ა. პეტროვი, ა. კლუბნიკოვი, ა. დუნაევი და „ტრუდის“ წარმომადგენელი ლ. ილიჩოვი. თავისუფალი სტილით ანანატოლ გარბინ 4x200 მ მათ დაამყარა სსრ კავშირის ახალი რეკორდი 3:30,5.

## გამარჯვება სტარტზე

ტალინი, 25 ივლისი. (ტელეფონით, სპეც. კორ.). აქ საზეიმოდ გაიხსნა სტუდენტთა მე-4 საკავშირო სპორტული თამაშები.

ესტონეთის დედაქალაქში ასპარეზობენ ჩოგბურთელები და მოქიდავეები. სტუდენტ სპორტსმენებს ასპარეზობის გახსნა მიულოცა საქართველოს სპორტსაზოგადოება „ბურვესტნიკის“ ველისნიკებისათვის ოთხეულმა, რომლებმაც სტარტი ორი თვის წინათ აიღეს თბილისში ეს ველო-გადარბენა ეძღვნება სტუდენტთა მე-4 საკავშირო სპორტულ თამაშებს.

პირველ დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჩოგბურთელებმა ერთნაირი ანგარიში (5:2) დაამარცხეს ვილნიუსის უნივერსიტეტისა და ბელორუსიის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდები.

ასპარეზობა გრძელდება. ნ. მუსკულიანი

ტოკიოს XVIII ოლიმპიური თამაშების განხილვაში 3 თვეზე ცოტა დარჩა. სუთივე მატერიკის სპორტსმენები გასცვივლებით ემზადებიან ამ დიდი ფორუმისათვის. ძალოსნობის სპორტის მოყვარულები ბოლო ხანს მრავალი საერთაშორისო შეჯიბრების მოწვევები მიიღეს. ეს პირველობა მხოლოდ იყო აღსანიშნავი, რომ ულანტის უძლიერეს ადამიანად წოდებულმა ი. ვლასოვმა დაიმტკიცა მსოფლიო რეკორდი მძიმე წონის ძალოსანთა შორის კლასიკურ სამჭიდში, რომელიც მას მიმდინარე წლის

მარტში ჩანთარტვა მეორე საბჭოთა გოლიათმა — ლ. ჯაბოტინსკიმ. „ლელოს“ მკითხველთათვის ინტერესნოესტუდული არ იქნება გავცნობ იმ სპორტსმენებს, რომლებიც ტოკიოს ოლიმპიადამდე საბჭო-

დავად 40 წლისა, იგი კვლავ წარმატებით გამოდის ფიჯიანაგზე. მისი საუკეთესო შედეგი უკანასკნელ დრომდე იყო 537,5 კილოგრამი, მაგრამ მიმდინარე წლის აპრილში ჩიკაგოს გამართულ შეჯიბრებაზე

ზღვარს აკვრავს, რაც აგრეთვე ქვეყნის ახალი რეკორდია. სამჭიდის ჯამში მის მიერ დაგროვილი კილოგრამები ვლასოვისა და ჯაბოტინსკის შედეგების შემდეგ მესამეა ძალოსნობის ისტორიაში საერთოდ. ამას წინ

ან სხვა ძალოსნებიც, რომლებიც უკანასკნელ ხანს საბჭოთა მძაღლ შედეგებს აღწევენ. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ს. ჰენრი, რომელიც ყოველწლიურად მატულობს წონაშიც და შედეგებშიც. სხვათა შორის, წარუმატებლად გამოდის ბირთვის კვრამი. ახლახანს მოსკოვში დამთავრებულ ვერობის ჩემპიონატზე უნგრელმა კ. ეჩერმა 490 კილოგრამით 11 ადგილი დაიკავა ვლასოვის შემდეგ, მაგრამ მისგან მე-

# ი. ვლასოვი, ლ. ჯაბოტინსკი, თუ...


თა სპორტსმენების ძირითადი მეტოქეები იქნებიან მძიმე წონის ძალოსანთა ასპარეზობაში. ი. ვლასოვისა და ლ. ჯაბოტინსკის ძირითად მეტოქედ გვევლინება პოლონური წარმომადგენელი ამერიკელი ძალოსანი რ. შემანსკი. მიუხე-

დავად 544,5 კილოგრამი და აგრეთვე ერთბაშად ორი კურდღელი დაიჭირა — პირადი რეკორდიც გააუმჯობესა და ამერიკის შვერთებულ შტატების რეკორდიც დაამყარა. ამას გარდა, ამერიკელმა პირველად გადააჭარბა 200-კილოგრამიან

ვლასოვი თვლის, რომ ახლანდელი მომავალში ამერიკელს შეუძლია 550-560 კილოგრამი აჩვენოს სამჭიდში. დიდ იმედებს ამყარებდნენ კ. გუბნერსე, მაგრამ მას ხელი მოეცა ძალოსნობაში და ახლა მძღვესნობას მიაშურა, სადაც არც თუ

ტია მოსალოდნელი, რადლო უნგრელის საუკეთესო შედეგი სამჭიდის ჯამში 500 კილოგრამს გაყდა. ანგარიშგასაწვენი არიან ამერიკელი კ. ბრედფორდი (512,5 კგ) და არგენტინელი უ. სელვეტი (500 კგ). მაგრამ ისინი ბოლო

# კლენი — მსოფლიო ჩემპიონს...



კლენის გუგუნა გააყრუა ბაგირით შემოკვეთილი ტაფობი. ერთი წუთის წინ აქ სიმშვიდე სუფევდა. სიმეტრიულად ჩამწყვირებული კარვების წინ ანძებზე აღმართული ალმები წარწარა შრიალით უღიმოდნენ მკვს. ჩეხი მექანიკოსი ვლადიმერ შიშკა დინჯად ცემდა ბოლთას.

... მოთვინიერებული ლეოპარდივით ჩაბარდა მანქანა მექანიკოსის მძღავრ ხელებს. მექანიკოსს ლურჯი

მაისური აცვია, ზურგზე შეებერთელა ასობით გამოყვანილია — „ჩხ“, რაც ჩეხურ მოტოციკლს — „ჩეხეტას“ ნიშნავს.

მექანიკოსი მზრუნველად დატრიალებს მანქანას. „ლეოპარდის მხედარი“ კი ბრუნების კარავში ისვენებს. ერთი საათის შემდეგ გადაწყვეტი ბრძოლა დაიწყება და სიცოცხლით სავსე ბელგიელს, რომელსაც აგრერივად უყვარს იუ-

მორი, ლაპარაკის თავიც არ ექნება. დიხ, უოელ რობერს სხვა ყველაფერი ავიწყდება, როცა მისი ხელები საქვს მართავს. სწორედ ამიტომ განმარტოვდა იგი შესვენებაზე. აქ, ბრუნების კარვის ჩრდილში, სასიამოვნოა დასვენება, მით უფრო მაშინ, როცა ათათასზე მეტი წყვილი თვალი გულმოდგინედ გამოკვეთს დისტანციას...

ლენინგრადის ტრასამდე რომბმა ესპანეთში მსოფლიო პირველობის ხუთი ეტაპიდან ოთხში პირველი ადგილი დაიკავა. და ახლაც, როცა ჩემპიონის გვირგვინამდე ნახევარი ნახილია დარჩენილი, რომბის ამაყად უჭირავს თავი. რადგან საპატიო ჯილდოს სწორედ მის საყვარელ ლენინგრადში მიიღებს.



*Je remercie beaucoup  
vous les spectateurs  
socialistes de  
l'accueil que j'ai reçu  
et j'espère revenir  
bientôt et pour  
encore gagner une fois  
avec tous mes salutations  
au journal "L'Éto"*

*Leclercq*

თამაშების ორგანიზატორებს აწუხებთ მსოფლიო ტაფობების საკითხი, რომლებიც სწორედ იმ დროსაა მოსალოდნელი, როცა ჩირალდანი მიუახლოვდება ფინიშს.

**კომპაპას პარკი მზადდა**

დამთავრდა სპორტული პარკის კომპაპას მშენებლობა. მის ტერიტორიაზე, რომელიც 410 ათას კვადრატულ მეტრს შეადგენს, მოწყობა ფრენურ-თელთა, მოჭიდავეთა, ფეხბურთელთა და ბალახის ჰოკეისტთა შეჯიბრებები. პარკი ოლიმპიური სოფლის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს და მისგან 6,5 კილომეტრითაა დაშორებული. თამაშების შემდეგ კომპაპას პარკი იაპონიის დედაქალაქის დასვენებისა და სპორტის ცენტრად დარჩება.


ელექტრო-გამოთვლითი მანქანის მშენებლობა, რომელიც ჟურნალისტებს ციკლური ცნობებით მოამარაგებს.

**მაკარონი... იტალიელისთვის**

სულ მოკლე ხანში იტალიიდან იაპონიას გაემგზავრება გემი „ეტნა“, რომელიც დატვირთული იქნება 5000 ბოთლი მინერალური წყლით, ერთი ტონა ბრინჯით და, რა თქმა უნდა, მაკარონით. ზოგიერთი ვაჭარის ცნობით, იტალია ოლიმპიურ თამაშებში წარმატებას მიაღწევს იმ შემთხვევაში, თუ სპორტსმენები უზრუნველყოფილი იქნებიან ეროვნული საჭარბულოთი.

**აოლიციელები და თარჯინები**

უცხოელი ტურისტებისა და სპორტსმენების ოპერატიულად მომსახურების მიზნით, ტოკიოს პოლიცია 15 სექტემბრიდან სპეციალურ ცენტრს ხსნის. მასში ითანამშრომლებს ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური, რუსული, ჩინური, კორეული და იტალიური ენის 70 სპეციალისტი-თარჯინი.



**შბანდა. ტოკიოს ოლიმპიადებზე აპირებს 25-კაციანი დელეგაციის გაგზავნას ამ რიცხვში. სპორტსმენთა გარდა, შედიან ოფიციალური პირებიც. გუნდი ჯერ არ დაუკომპლექტებულია, მაგრამ ვარაუდობენ, რომ მას შეადგენენ 6 მოკრივე და 9 მძლეობანი.**

**სტოკჰოლმი. აქ გრძელდება სკანდინავიის პირველობისა და ნორვეგიელი კონსტრუქტორის ი. ანკერის სახელობის თასის გამართვა „დრაკონის“ კლასის ორჩხოველებში. I ადგილი მეოთხედ მოიპოვა საბჭოთა სპორტსმენის ი. შვინინის ეკიპაჟმა, რომელმაც უკვე პრაქტიკულად გაინაღდა საერთო გამარჯვება. „ოქროს თასზე“ „5.5“ კლასის ორჩხოველებში შეჯიბრებაზე მეორე გამარჯვება მოიპოვა ამერიკელმა უ. ფაიმ, რომელსაც „ოქროს თასის“ მეოთხედ მოპოვების რეალური შანსები აქვს.**

სტარტი. მოტოციკლები ელვის სისწრაფით გაიქრნენ წინ. ლიდერობს იგორ არბეკოვი. მას მიჰყვებიან იგორ გრიგორიევი, შვედები ლოოფ სენეტი, იან იოჰანსონი... სადღა იგი მოყვითალო მაისურით — უოელი რომბერი? მხოლოდ ოცდამეხუთე!

ნუთუ ასე ძნელია ამ ნახევარი ნახილის გადაღმა? ჩეხურმა მანქანამ და ბელგიელმა სპორტსმენმა ერთმანეთს კარგად გაუგეს. პირველი წრის შემდეგ იგი მეტამეტა, მეორის შემდეგ — მეათე, შემდეგ — მეხუთე, უოელ ახალ წრეზე იგი თითო ადგილით ინაცვლებს წინ, რჩება სამიოდე წრე. რბოლის სათავეში არბეკოვი და გრიგორიევი არიან. მეოთხედზე წრეზე გრიგორიევიც უკან რჩება. ახლოვდება ფინიში. იგორ არბეკოვის დაწვევა შეუძლებელია და ფინიშის ხაზს იგი პირველი კვებს. უოელ რომბერი მეორე ადგილზეა და... მსოფლიო ჩემპიონი ხდება.

რობერი კინოოპერატორების, ფოტორეპორტორების და ურნალისტების ალყაში მოექცა. და სწორედ ამ დროს ერთმა შუახნის ლენინგრადელმა გულშემატკივარმა მსოფლიოს ახალ ჩემპიონს კაცა მართავს საჩუქრად. ამ წუთში უკეთეს ვერაფერს მოიფიქრებდით: უოელ რომბერი მართლაც ხომ კაცის სისწრაფით დაქროდა ტრასაზე?

როცა სურათების გადასაღებად განმარტოვდით, უოელმა გამოართვა უფრცველი, კლამი და დაწერა: „მივესალმები საქართველოს სპორტსმენებს და ჩემს გულშემატკივრებს გაზეთ „ლელოს“ სახელითა და საშუალებით. უოელ რომბერი“.

**ბ. შაჟილაძე**  
(ჩვენი სტე. კორ.).  
ლენინგრადი.


**ოლიმპიური ჩირალდისი მოგზაურობა**

21 აგვისტოს ოლიმპოს მთაზე, ზევის ტაძარში მშის სხივებით დაინთება XVIII ოლიმპიური თამაშების ჩირალდანი, რომელსაც შეადგომს დიდი გზა ექვება გასავლელი საბერძნეთიდან ვიდრე ტოკიომდე. ამ მიზნისათვის გამოყოფილია სპეციალური თვითმფრინავი და „ცეცხლის დამკველთა“ მთელი რაზმი. 6 სექტემბერს თვითმფრინავი დაეშვება ოკინავას მიწაზე. აქედან ცეცხლს წამოიღებენ სპორტსმენები და 9 ოქტომბერს იგი ტოკიოს ოლიმპიურ სტადიონს შემოიანათებს.

ჩირალდისი მოგზაურობაში მონაწილეობას მიიღებს 99.820 იაპონელი სპორტსმენი და 876 უცხოელი.

**ოლიმპიადის აინდი**

როგორი ამინდი იქნება ტოკიოში ოლიმპიური თამაშების დროს? იაპონელმა მეტეოროლოგებმა შეისწავლეს „ამინდის მატჩანე“ უკანასკნელი 83 წლის მანძილზე. ისინი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ოლიმპიადის დღეებში არ იწვივებს. ცა იქნება მზიანი და უდრუბლო, ჰაერის საშუალო ტემპერატურა 16-18 გრადუსის ფარგლებში იმორჩავენს.



**საფეხბურთო ნაკვეთები**

მხოლოდ ცოცხალი თამაშით შეიძლება „მკვდარი“ ბურთის აღება.

კრიტიკა უნდა გაიშალოს იმ ფეხბურთელთა მისამართით, რომლებიც უმისამართოდ გზავნიან ბურთს.

მსაჯი ფეხბურთელის არასწორ თამაშს მაშინვე ამჩნევს, თავის შეცდომას კი ცოტა მოგვიანებით... მატჩის შემდეგ.

ფეხბურთის ზოგმა მაყურებელმა კეისარსაც კი გაუსწრო: იგი ერთდროულად ყვირის, მზესუშირას ჭამს, იგინება, პაპიროსს წეხს და სტვენს.

ყოველი უმისამართოდ დარტყმული ბურთი ზუსტად გულში ხვდება გულშემატკივარს.

შემჩნეულია, რომ მსუბუქი ავტომანქანანი ფეხბურთელი ხშირად მიიმედ თამაშობს.

**ბ. ბახტაძე**

**ზხუხუ შორის**

ეს მატჩი მიმდინარეობდა ნიუ-იორკის საფეხბურთო ტურნირის ფარგლებში. პოლონეთის გუნდი „ზაგლები-სოსნოვიცი“ ეთამაშებოდა საბერძნეთის „აეკ ათენს“. პოლონელი ფეხბურთელები ჯობნიდნენ მეტოქეებს და შესვენებისთვის ანგარიში იყო 2:0 მათ სასარგებლოდ. ტაიის შემდეგ ბერძენმა ფეხბურთელებმა უხეშობა დაიწყეს. თამაშის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე მსაჯი იძულებული გახდა მოედნიდან გაეძევებინა ერთი ბერძენი ფეხბურთელი.

ასეთი გადაწყვეტილება არ მოეწონა ბერძენთა გუნდის მარცხენა გარემარბს გეორგიოს პეტრიდისს. იგი გაეცხლებული მივიდა მსაჯს, წაქცია, წამოიკიდა ზურგზე და თავისი „ტვირთით“ ტრაბუნისკენ გაქანდა, სადაც ისხდნენ ბერძენი გულშემატკივრები. „დატყვევებულმა“ მსაჯმა თავს უშველა პოლიციელების დახმარებით. ხულოვანი ფეხბურთელი გაქეპბულ იქნა მოედნიდან. მატჩი კი დამთავრდა პოლონელი ფეხბურთელების გამარჯვებით — 3:0.

**მაკინდის უყვარს ტრაბახი**

ამერიკელი ჩოგბურთელი მაკინდის ტრაბახის მოყვარულია. როცა იგი უიმბლდონის ტურნირისთვის ემზადებოდა, აშშ-ის პრესა მას გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა. თვით სპორტსმენმა განაცხადა: „მე არ მეზინია არავითარი ახალი ილეთებისა და თამაშის არავითარი განსაკუთრებული მანერისა, რომელიც ათვისისგ ევროპის ენობილმა ჩოგბურთელებმა. მე არავის არ დაუფთმობ გამარჯვებას. ერთადერთი, რასაც შეუძლია ხელი შემეშალოს, ეს არის ცაცია მოთამაშეები. არ მიყვარს ის, ვინც მარცხენა ხელით თამაშობს“.

მაკინდის არ გაუმართლდა. უიმბლდონის ექვსისურთ მას უნდა ეთამაშა 5 ცაცია ჩოგბურთელთან. მაგრამ მათ როდი წაართვეს ამერიკელს გამარჯვება. იგი დამარცხდა პირველსავე მარჯვენა ხელით მოთამაშესთან — ავსტრალიელ სტოლესთან.

**რედაქტორი მ. პაპაბაძე.**

**დღეს! თბილისის გღვავი**

გამართება საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისა და მიძღვნილი დიდი საზღვაო-სპორტული დღესასწაული. ამ საინტერესო სანახაობის პროგრამაშია სპორტული და მასობრივი ცურვა, შეჯიბრება ნავებით, კატარღებით, საპარაშუტო დესანტი, მოწყობა საზღვაო მოდელისტა და მეყინთავთა საჩვენებელი გამოსვლები, საზღვაო მრავალკიდი.

შეჯიბრებებში მონაწილეობას მიიღებენ დოსაფის რესპუბლიკური კომიტეტისა და თბილისის საუკეთესო სპორტსმენები და გუნდები. დონისძიება, რომელიც 12 საათზე იწყება, გამართება დოსაფის ბაზისა და საქალაქო პლაჟის მიდამოებში. დასწრება თავისუფალია.

**გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი — 8, ლენინის ქ. № 14, დეპარტამენტის № 11 — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივანი და სპორტული განყოფილება — 3-35-09, ქვესადგური (3-15-00-დან 09-მდე) — პასუხისმგებელი მდივანი — 5-30, სპორტული განყოფილება — 5-41, მასობრივი-ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 5-14, ფოტოლაბორატორია — 5-16, მემანქანეთა ბიურო — 5-11, გამომშვები — 3-81.**

